ჯოზეფ კონრადი

შვიდი კუნძულის ფრეია

დიდებულნი
ბიბლიოთეკა

ჯოზეფ კონრადი
შვიდი კუნძულის ფრეია

Joseph Conrad
FREYA OF THE SEVEN ISLES

ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

გარეკანზე გამოყენებულია ჩაილდ ჰასამის ნახატი

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-544-8

www.diogene.ge

ერთგულება

ჯოზეფ კონრადის წიგნი საუკუნის დასაწყისში ვიყიდე. მწვანეყდიან კრებულში რუსულად ნათარგმნი „წყვდიადის გული“ და ორი სხვა ტექსტი შეეტანათ. ალბათ სათაურის იდუმალებამ ამაფორიაქა და გულმა მიგრძნო, რომ ამ კარის იქით გასაოგნებელი სამყარო უნდა ყოფილიყო. წყვდიადის თავგადასავალი. შავ ქაღალდზე შავად ნაწერი ამბავი. მანამდე ჯოზეფ კონრადი – პოლონელი არისტოკრატი თეოდორ იუზეფ კოჟენევსკი, რომლისთვისაც ინგლისური მესამე ენა იყო მშობლიური პოლონურისა და ფრანგულის შემდეგ – მხოლოდ სათავგადასავლო და ავანტიურისტული ტექსტების მწერალი მეგონა. მიყვარს სათავგადასავლო ლიტერატურა, მაგრამ ეს პატარა, მწვანეყდიანი წიგნი ბევრად მეტი აღმოჩნდა.

ამ კარის იქით მართლაც გასაოცარი სამყარო დამხვდა: ზღვები, მდინარეები, სრუტეები, დიდი და პატარა კუნძულები, ზღვებში შეჭრილი კონცხები... ვკითხულობდი და ისეთ საინტერესო, სრულყოფილ სამყაროში ვმოგზაურობდი, რომლის მსგავსიც მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი არ მეგულება. თუმცა ეს მოგზაურობა, უბრალოდ, დასაწყისი იყო, რომელსაც დიდი აღმოჩენები უნდა მოჰყოლოდა.

„შვიდი კუნძულის ფრეია“ – ნაწარმოები, რომელმაც სრულიად მომნუსხა, ერთი შეხედვით, კონრადის ინტერესებისა და მისწრაფებებისთვის შეუფერებელი სიყვარულის ისტორიაა, მელოდრამატული ნარატივი ტრადიციული სასიყვარულო სამკუთხედით. დრამატული მოვლენები ამ შემთხვევაშიც ზღვის ფონზე ვითარდება – ყველა კაცი, რომელსაც აქ ვხვდებით, შორეული აღმოსავლეთის წყლებში მოხეტიალე მეზღვაურია, ფრეია კი სიყვარულისა და მეზღვაურების ქალღმერთია.

ეს იმ კაცების ბრმა ვნებებისა და საბედისწერო ახირებების ამბავია, რომლებიც აუცილებლად რაღაცაზე უნდა იყვნენ მიჯაჭვულები – მატერიალურსა თუ არამატერიალურზე. ჯესპერ ალენი თავის მოხდენილ ბრიგზეა მიჯაჭვული, ბებერი ნელსონი – ხის ბუნგალოსა და მიწის პაწია ნაკვეთზე, ლეიტენანტი ჰეემსკირკი – უსაფუძვლო ამბიციებზე. პატარა კუნძულის ყოველდღიური ყოფა ისეთივე

ტრაგიკომიკურია, როგორიც იმ დიდი კუნძულისა უნდა ყოფილიყო, რომლის ქვეშევრდომიც ჯოზეფ კონრადი გახლდათ. ეს კაცები საკუთარი მცდარი წარმოდგენების მსხვერპლნი არიან. ფრეიაც მსხვერპლია – მათი სისულელეების, ბრმა შიშების, არასწორი ინტერპრეტაციების. მისი არავის ესმის, იმიტომ რომ ზოგჯერ ძალიან ძნელია უბრალო სიმართლის, უბრალო ერთგულების გაგება.

კიდევ უფრო ძნელია, რომ ამ მელოდრამატულ სიუჟეტში მთავარ გმირთან თვითიდენტიფიკაციას თავი აარიდო და წამით მაინც არ გაიფიქრო, რომ ცამდე მართალი ხარ.

ჯოზეფ კონრადს ამ ტექსტის წერა 1910 წლის დეკემბერში დაუწყია და მომდევნო წლის თებერვლის ბოლოს დაუმთავრებია. მერე, 1912-ში, „მეტროპოლიან მეგეზინსა“ და „ლანდენ მეგეზინში“ გაგრძელებებით გამოუქვეყნებია. „ჩემმა მკითხველებმა კარგად იციან ჩემი ღრმა რწმენის შესახებ: რომ სამყარო, წარმავალი სამყარო, რამდენიმე ძალიან მარტივ იდეას ეფუძნება; იმდენად მარტივ იდეებს, რომ ისინი გორაკებივით ძველისძველნი უნდა იყვნენ. უპირველეს ყოვლისა კი, ის ერთგულების იდეას ეფუძნება“, – წერს მწერალი ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ტექსტში. სწორედ ასეთი მარტივი მორალური იმპერატივები, ასეთი გულწრფელობა გამოარჩევს ბრიტანელ კლასიკოსს მისი თანამედროვე სხვა მწერლებისგან, თუნდაც დევიდ ჰერბერტ ლოურენსისა და ვირჯინია ვულფისგან.

ბევრ მწერალს გაიხსენებთ, რომელსაც ტყუილი სძულს, რადგან ის ხრწნას, ლპობას, სიკვდილს ახსენებს?

მომწონს ასეთი სიმარტივე და სწორხაზოვნება, რადგან მათ მიღმა უმდიდრესი სამყაროა, ზღვებითა და ოკეანეებით, არქიპელაგებითა და ხელუხლებელი ბუნებით, მეზღვაურებითა და ქალებით, რომლებიც მოულოდნელად თავს დატეხილ შტორმში ვაგნერს უკრავენ.

მე ერთგული მკითხველი ვარ და ვიცი, რომ ჯოზეფ კონრადის რომანტიკულ ნარატივში სწორედ ის გორაკები მოჩანს, რომლებიც უხსოვარი დროიდან წამომართულან ზღვისა და ტროპიკული მზით განათებული ჰორიზონტის ფონზე.

ირმა ტაველიძე
11.06.2012

შვიდი კუნძულის ფრეია

პირველი თავი

ერთ დღეს, მრავალი წლის წინ, გრძელი, უხვსიტყვიანი წერილი მივიღე ძველი მეგობრისგან, ვინც ოდესღაც ჩემთან ერთად დახეტიალებდა აღმოსავლეთის წყლებში. ისევ იმ მხარეში იყო – ოჯახს მოჰკიდებოდა და შუა ხნისთვისაც მიეღწია. წარმოვიდგინე, როგორი უნდა ყოფილიყო: ტანსრული და ოჯახურ საქმეებში ჩაფლული, ერთი სიტყვით, ბედს შეგუებული. ეს ბედი კი ყველასთვის ერთია, მათ გარდა, ვინც ღმერთებს გამორჩეულად უყვართ და სიცოცხლეს ახალგაზრდები ასრულებენ. ისეთი წერილი იყო, მოგონებებს რომ აცოცხლებს, და რომელშიც ხშირად გვხვდება ფრაზა: „ხომ გახსოვს...“ – ძველი ამბებით სავსე, სევდიანი წერილი. სხვა რამეებთან ერთად მეგობარი ამასაც მწერდა: „ხომ გახსოვს ბებერი ნელსონი...“

მახსოვს თუ არა ბებერი ნელსონი? რა თქმა უნდა! დავიწყოთ იმით, რომ მისი გვარი ნელსონი არ ყოფილა. არქიპელაგზე ინგლისელები ნელსონს იმიტომ ეძახდნენ, რომ, ჩემი აზრით, მათთვის ასე უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო და თვითონაც არ იყო წინააღმდეგი. ამაზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ პედანტიზმი იქნებოდა. მისი ნამდვილი გვარი ნილსენი გახლდათ. აღმოსავლეთში ტელეგრაფის კაბელების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე ჩავიდა

და ინგლისურ ფირმებში მსახურობდა, მერე ინგლისელ გოგონაზე დაქორწინდა და წლების მანძილზე ერთ-ერთი ჩვენგანი იყო – ჩვენთან ერთად ვაჭრობდა, აღმოსავლეთის არქიპელაგის წყლებში ყველა მიმართულებით დაცურავდა – პირდაპირ და ირიბად, დიაგონალურად, პერპენდიკულარულად, ნახევარწრეებს, ზიგზაგებსა და რვიანებს ხაზავდა.

ამ ტროპიკულ წყლებში ერთი მიყრუებული ადგილი, კუთხე-კუნჭულიც კი არსად იყო, ბებერ ნელსონს (თუ ნილსენს) რომ არ შეეღწია და ჩვეული საქმიანობა არ წამოეწყო – რაღა თქმა უნდა, უკიდურესად მშვიდობიანი ზრახვებით. მისი გზები რომ დაგვეხაზა, ეს ნახაზი არქიპელაგის რუკას აბლაბუდასავით გადაეკვრებოდა – ყველა კუნძულს, ფილიპინების კუნძულების გარდა. ამ მხარეს არასდროს მიახლოებოდა, რადგან ესპანელების, უფრო სწორად, ესპანელ ხელისუფალთა აუხსნელი შიში ჰქონდა. ძნელი სათქმელია, რას ელოდა მათგან – რას დაუშავებდნენ? ალბათ ოდესღაც ინკვიზიციის შესახებ თუ წაეკითხა რამე.

საერთოდ, იმის ეშინოდა, რასაც „ხელისუფლებას“ უწოდებდა. არა, ინგლისელი ხელისუფლების არ ეშინოდა – მათ ენდობოდა და პატივს სცემდა, განსხვავებით ორი სხვა ეროვნების მმართველებისაგან, რომლებიც მსოფლიოს აღნიშნულ კუთხეში საქმიანობდნენ. ჰოლანდიელები ესპანელებივით არ აშინებდნენ, მაგრამ მათ უფრო დიდი უნდობლობით უყურებდა, უდიდესი უნდობლობითაც კი. მისი წარმოდგენით, ჰოლანდიელს „ნებისმიერი სისაძაგლის გაკეთება“ შეეძლო იმ საწყალი კაცისათვის, ვინც თვალში არ მოუვიდოდა. ჰოლანდიელებს წესები და კანონები კი ჰქონდათ, მაგრამ მათი გამოყენებისას სამართლიანობას არად დაგიდევდნენ. გული მოგიკვდებოდათ, რომ გენახათ, როგორი შიშნარევი სიფრთხილით ესაუბრებოდა ხოლმე ამა თუ იმ მოხელეს; ამ დროს კი – არ დაგავიწყდეთ – ამ კაცს სახელი იმით გაეთქვა, რომ მშვიდად და უშიშრად დააბიჯებდა კანიბალების სოფელში, ახალ გვინეაში (გაითვალისწინეთ: მთელი ცხოვრების მანძილზე ტანსრული, ხორცსავსე ადამიანი იყო, ასე ვიტყოდი, კაი გემრიელი ლუკმაა-მეთქი)

და იქაურებს რაღაცების გაცვლა-გამოცვლაზე ესაუბრებოდა, რისი ღირებულებაც, საბოლოო ჯამში, ალბათ ორმოცდაათ ფუნტსაც არ აღემატებოდა.

მახსოვს თუ არა ბებერი ნელსონი? როგორ არა! ისიც მართალია, რომ ჩემი თაობიდან მას არავინ იცნობდა იმ წლებში, როცა საქმე ყველაზე კარგად მისდიოდა. ჩვენს დროს უკვე „საქმეს ჩამოშორებული“ იყო. ბანკას სიახლოვეს, ჩრდილოეთით, პატარა კუნძულის ნაწილი ეყიდა თუ სულაც სულთნისგან იჯარით აეღო – იმ პატარა ჯგუფში შემავალი კუნძულის ნაწილი, რომელსაც შვიდ კუნძულს უწოდებენ. ჩემი ვარაუდით, კანონიერი გარიგება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რადგან ინგლისელი იყო, ჰოლანდიელებს იოლად შეეძლოთ მიზეზი ეპოვათ და მისთვის გუდა-ნაბადი უცერემონიოდ აეკრათ. ამჯერად ნამდვილმა გვარმა კარგი სამსახური გაუწია. მოკრძალებულ დანიელს, რომლის ქმედებაც სავსებით გამართლებული იყო, ჰოლანდიელებმა თავი დაანებეს. რადგან მთელი ფული მიწის დამუშავებას მოახმარა, ბუნებრივია, ძალიან ფრთხილად იქცეოდა: ცდილობდა, ისინი სულ მცირედაც არ გაენაწყენებინა, ჰოდა, მეტწილად ამ სიფრთხილისა და წინდახედულების გამო იყო, რომ ჯესპერ ალენს კარგი თვალით არ უყურებდა. თუმცა ამაზე – მოგვიანებით. ჰო! რა დაგვავიწყებს ბებერი ნელსონის დიდ, სტუმართმოყვარე ბუნგალოს, რომელიც გორაკის ფერდობზე წამომართულიყო, ან ამ ახოვან კაცს, ვინც მუდამ თეთრი პერანგითა და შარვლით დადიოდა (ჩვევად ჰქონდა, ალპაკას ტყავის ქურთუკი პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში გაეხადა), მის მრგვალ, ცისფერ თვალებს, აჩეჩილ, მოთეთრო-ქვიშისფერ ულვაშს, ყველა მიმართულებით რომ გაფარჩხულიყო გაბრაზებული მაჩვზღარბას ეკლებივით, მის ჩვევას – მოულოდნელად დამჯდარიყო და გასაგრილებლად ფარფლებიანი ქუდი ექნია. თუმცა რა აზრი აქვს იმის დამალვას, რომ ყველაზე კარგად მისი ქალიშვილი გვახსოვს, რომელიც იმხანად ჩამოვიდა მამასთან საცხოვრებლად და, გარკვეულწილად, ამ კუნძულების ქალბატონი გახდა.

ფრეია ნელსონი (თუ ნილსენი) ისეთი გოგო იყო, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. სახის სრულყოფილი ოვალი ჰქონდა, ამ მომხიბვლელ ოვალზე კი იდეალურად განლაგებული ნაკვთები და საუცხოო ფერის კანი მოუჩანდა; ეს ყველაფერი სიჯანსაღეზე, სიძლიერეზე და, მე ვიტყოდი, გაუცნობიერებელ თავდაჯერებაზეც კი მეტყველებდა – სანაქებო და მეტად უცნაურ სიმტკიცეზე. მის თვალებს იებს ვერ შევადარებ, რადგან ისინი სხვა ფერისა იყო – უფრო ღია ცისფერი და თან მოციმციმე. თვალები ყოველთვის ფართოდ ჰქონდა გახელილი და, როგორ ხასიათზეც უნდა ყოფილიყო, მოსაუბრეს პირდაპირ სახეში უყურებდა. ერთხელაც არ მინახავს, რომ გრძელი, მუქი წამწამები დაეხარა. ალბათ ჯესპერ ალენს, როგორც გარკვეული პრივილეგიების მქონეს, ესეც ენახა; ეჭვი არ მეპარება, ამ დროს მის თვალებს სრულიად მომაჯადოებელი გამომეტყველება ექნებოდა. ერთხელ ჯესპერმა გულისამაჩუყებელი, ბრიყვული აღფრთოვანებით მითხრა, თავის თმაზე დაჯდომა შეუძლიაო. ალბათ მართლაც შეეძლო. რატომაც არა?! მე ამ სასწაულების ხილვა არ მეწერა. ჰოდა, იმ ნატიფი ვარცხნილობის მზერას ვჯერდებოდი, რომელიც მის სახეს ასე ძალიან უხდებოდა და თავის მშვენიერ ფორმას გამოკვეთდა. თმა კი ისეთნაირად უელვარებდა, რომ როცა დასავლეთ ვერანდაზე ჟალუზები ჩამოშვებული იყო და სასიამოვნო ბინდბუნდი იდგა, ან სახლის სიახლოვეს, ხეხილის ბაღში ჩრდილი გაწვებოდა, გვეჩვენებოდა, თითქოს ის ყველაფერს თავისი ოქროსფერი შუქით ანათებდა.

საერთოდ, თეთრები ეცვა ხოლმე – ისეთი სიგრძის ქვედაკაბას იცვამდა, რომ სიარულში ხელი არ შეშლოდა და ამის გამო ზონრებით შეკრული, მეტად კოხტა, ყავისფერი დაბალყელიანი ჩექმები მოუჩანდა. სამოსს ხანდახან რაიმე ცისფერ სამშვენისსაც ამატებდა. ეგ იყო და ეგ. ჩანდა, რომ ფიზიკური დატვირთვა დიდად არ აწუხებდა: ჩემი თვალით ვნახე, როგორ გადმოვიდა ერთხელ ნავიდან მზის გულზე ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ (ნიჩბებს თვითონ უსვამდა) – სუნთქვა ოდნავაც არ გახშირებოდა, აკეცილი თმიდან ერთი ღერიც არ ჩამოშლოდა. დილაობით ვერანდაზე რომ გამოვი-

დოდა და დასავლეთისკენ, კუნძულ სუმატრისკენ ზღვას გახედავ-და, ალიონის ცვარივით კრიალა და ელვარე მოჩანდა ხოლმე. თუმ-ცა ალიონის ცვარი წამში ქრება, ფრეია კი ერთობ მიწიერი არსება გახლდათ. კარგად მახსოვს მისი სავსე, ძლიერი მკლავები ვიწრო მაჯებით; დიდი, საქმეს ნაჩვევი ხელები გრძელი, თხელი თითებით.

არ ვიცი, ნამდვილად ზღვაზე გაჩნდა თუ არა, მაგრამ ის კი ვი-ცი, რომ თორმეტ წლამდე მშობლებთან ერთად სხვადასხვა გემით დაცურავდა. როცა ბებერი ნელსონი დაქვრივდა, მის წინაშე მთელი სერიოზულობით დადგა ეს საკითხი: რა უნდა ექნა გოგოსთვის? ერთმა სინგაპურელმა ქალმა, რომელიც კაცის მდუმარე გლოვამ და საშინელმა დაბნეულობამ გულის სიღრმემდე შეძრა, შესთავა-ზა, ფრეიას მე მოვუვლიო. ეს შეთანხმება ექვს წელს გაგრძელდა, ამასობაში ბებერი ნელსონი (თუ ნილსენი) „საქმეს ჩამოშორდა“ და კუნძულზე საბოლოოდ დამკვიდრდა, მერე კი გადაწყდა, რომ რად-გან კეთილი ქალბატონი ევროპაში მიემგზავრებოდა, ქალიშვილი მამასთან ჩავიდოდა.

პირველ რიგში, ბერიკაცმა, სინგაპურელი აგენტის დახმარე-ბით, შტეინისა და ებჰარტის პიანინო შეუკვეთა. იმხანად პატარა ორთქლმავლის კაპიტანი გახლდით და სწორედ მე მხვდა წილად მფლობელისათვის მისი ჩაბარება, ასე რომ, ფრეიას პიანინოს შე-სახებ რაღაც-რაღაცები ვიცი. ძლივს გადმოვტვირთეთ ვეება ყუ-თი ბუჩქებით გარშემორტყმულ, ბრტყელ, კლდოვან ზედაპირზე. ამ საზღვაო ოპერაციის დროს ჩემს ერთ-ერთ ნავს კინაღამ ძირი გასძვრა. მერე მე და ჩემმა ეკიპაჟმა, მათ შორის, მექანიკოსებმა და ცეცხლფარეშებმა, მთელი ჩვენი მახვილგონიერებისა და გა-მომგონებლობის უნარის მოხმობით, ბერკეტების, ტროსების, გორ-გოლაჭებისა და დახრილი, გასაპნული დაფების დახმარებით, მზის გულზე მუშაობით პირამიდების მშენებელი ძველი ეგვიპტელები-ვით ქანცგაწყვეტილებმა, როგორც იქნა, პიანინო სახლამდე მივათ-რიეთ და დასავლეთ ვერანდაზე დავდგით. ამ ვერანდას სასტუმრო ოთახად ხმარობდნენ. ყუთს ფიცრები ფრთხილად შემოვაცალეთ და მთელი მშვენებით წარმოგვიდგა ვარდის ხის საოცარი ურჩხუ-

ლი. კრძალვითა და მღელვარებით მივადგით კედელს და იმ დღეს შვებით პირველად ამოვისუნთქეთ. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე მძიმე ნივთი იყო მათ შორის, რაც კი სამყაროს შექმნის დღიდან ამ კუნძულზე მოხვედრილიყო. პიანინო განსაცვიფრებლად სავსე ბგერებს გამოსცემდა ბუნგალოში, რომელიც ხმის გამაძლიერებლის ფუნქციას ასრულებდა. მისი გრგვინვა და გრიალი ზღვამდე აღწევდა. ჯესპერ ალენმა მითხრა, დილაადრიან „ბონიტოს“ (მისი არაჩვეულებრივად სწრაფი და მოხდენილი ბრიგის) გემბანზე გარკვევით მესმოდა, ფრეია გამებს რომ უკრავდაო. ისე კი, ეს ყმაწვილკაცი უგუნურად იქცეოდა: ღუზას ნაპირთან მეტისმეტად ახლოს ჩაუშვებდა ხოლმე, რაც მისთვის არაერთხელ მითქვამს. რა თქმა უნდა, აქაური ზღვები მშვიდზე მშვიდია, შვიდი კუნძული კი გამორჩეულად წყნარი და უღრუბლო ადგილია. თუმცა ხანდახან ბანკაზე ატეხილი ქარიშხალი თუ შორეული სუმატრის სანაპიროდან წამოსული ავბედითი გრიგალი კუნძულებს თავს მოულოდნელად ატყდებოდა და მათ სამი-ოთხი საათით ძლიერი ქარების სათარეშოდ აქცევდა; მაშინვე მოლურჯოდ ჩაშავებული, უკიდურესად ავისმომასწავებელი წყვდიადიც ჩამოწვებოდა ხოლმე. ამ დროს, როცა პალმის ბოჭკოებისგან დაწნული, ჩამოშვებული ჟალუზები ქარში სასოწარმკვეთად ზანზარებდა და მთელი ბუნგალო ერთიანად ირყეოდა, ფრეია პიანინოს მიუჯდებოდა და ელვათა დამაბრმავებელ შუქში ვაგნერის ულმობელ მუსიკას უკრავდა. ხან აქ, ხან იქ მეხი ეცემოდა, რის გამოც ნებისმიერს თმა ყალყზე დაუდგებოდა, ჯესპერი კი ვერანდიდან ფეხს არ იცვლიდა, ქალიშვილის მოქნილი, მუსიკის რიტმს აყოლილი სხეულის ცქერით, მისი ქერა თმის საკვირველი ელვარებით, კლავიშებზე სწრაფად მორბენალი თითების, ქათქათა კისრის მზერით ტკბებოდა. სწორედ ამ წუთებში ნაპირთან ახლოს მდგარი ბრიგი აწყვეტას ლამობდა, ტალღებს თავზე ექცეოდა, რაღაც ას იარდში კი საზარელი, შავად გაპრიალებული კლდეები აღმართულიყო. უჰ!

ამას, წარმოიდგინეთ, ერთადერთი მიზეზი ჰქონდა: როცა ღამით გემზე ბრუნდებოდა და თავს ბალიშზე დებდა, გრძნობდა, რომ

იმდენად ახლოს იმყოფებოდა ბუნგალოში მძინარე თავის ფრეიასთან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. გსმენიათ მსგავსი რამ? ისიც გაითვალისწინეთ, რომ ბრიგი სახლი უნდა გამხდარიყო – მათი სახლი – მცურავი სამოთხე, რომელსაც ჯესპერი იახტასავით რთავდა და აწყობდა, რათა ფრეიასთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე ნეტარებით ეცურა. სულელი! თუმცა ეს ყმაწვილკაცი ხომ რისკს არასდროს უფრთხოდა.

მახსოვს, ერთხელ მე და ფრეია ვერანდიდან ვუყურებდით, როგორ უახლოვდებოდა ბრიგი ნაპირს ჩრდილოეთის მხრიდან. მგონი, ჯესპერმა გოგო თავისი გრძელი ჭოგრიტით დაინახა. და რა გააკეთა? იმის ნაცვლად, რომ კიდევ ერთი მილი და ცოტა მეტიც გაევლო კუნძულის წყალმარჩხი სანაპიროს გასწვრივ და მერე, მეზღვაურთა წესისამებრ, ღუზა ჩაეშვა, მან ორ საძაგელ, ძველისძველ, დაკბილულ რიფს შორის ნაპრალი შენიშნა, შტურვალი მოულოდნელად მოაბრუნა და აფრების შრიალითა და ტკაცუნით ბრიგი მასში უსწრაფესად გააძვრინა. ეს ხმა ვერანდაზეც კი გავიგონეთ. არ დაგიმალავთ, ჩემთვის ჩავუსტვინე, ფრეიამ კი სალანძღავი სიტყვები არ დაიშურა. ჰო! მაგარი მუშტები შეკრა, კოხტა ყავისფერი ჩექმა დააბაკუნა და თქვა: „ჭირსაც წაუღიხარ!“ მერე ოდნავ წამოწითლებულმა – არა, ერთიანად გაწითლებული არ იყო – შემომხედა და მითხრა: „სულ დამავიწყდა, აქ რომ იყავით“. გაიცინა კიდეც. აბა რა. ჯესპერი რომ გამოჩნდებოდა, იმავე წამს ავიწყდებოდა ხოლმე, ამქვეყნად კიდევ ვინმე თუ არსებობდა.

ყმაწვილკაცის გიჟურმა საქციელმა იმდენად შემაშფოთა, რომ თავი ვერ შევიკავე და საღად მოაზროვნე გოგოს თანაგრძნობის იმედით მივუბრუნდი.

– გიჟი არ არის?! – აღელვებულმა წამოვიძახე.

– სრული იდიოტია, – მხურვალედ დამეთანხმა. პირდაპირ თვალებში მიყურებდა ფართოდ გახელილი, ანთებული თვალებით და ამ დროს ღიმილისგან ლოყები ეჩხვლიტებოდა.

– ეს ყველაფერი იმიტომ გააკეთა, რომ სულ რაღაც ოცი წუთით ადრე ენახეთ, – ვუთხარი მას.

ღუზის ჩაშვების ხმა გავიგონეთ, მერე კი ფრეიამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და სახეც მუქარით სავსე გაუხდა.

– ერთი წუთით მოიცადეთ. მე მაგას ჭკუას ვასწავლი.

ჯერ საჭირო მითითებები მომცა, მერე კი თავის ოთახში შევიდა, კარი მიიკეტა და ვერანდაზე მარტო დამტოვა. დიდი ხნით ადრე, სანამ ბრიგზე აფრებს აკეცავდნენ, ჯესპერი მოვარდა – სამ საფეხურს ერთად ახტებოდა და არც მოსალმება გახსენებია. ფეთიანივით იყურებოდა აქეთ-იქით.

– სად არის ფრეია? ცოტა ხნის წინ აქ არ იყო?

როდესაც ავუხსენი, რომ მის ფრეიას ხილვას მთელი საათი ვერ ეღირსებოდა, მხოლოდ იმიტომ რომ „ეს მისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო“, მითხრა, ამ აზრს ნამდვილად შენ ჩააგონებდიო. ისიც მითხრა, ვშიშობ, ერთ დღეს არ მაიძულო, რომ გესროლოო. რაღაც ძალიან დაუახლოვდი ამ გოგოსო. შემდეგ სკამზე დაებერტყა და ბოლო მოგზაურობის ამბების მოყოლა დაიწყო. თავშესაქცევი ის იყო, რომ მართლაც იტანჯებოდა – ამას საკუთარი თვალით ვხედავდი. ხმა ჩაუწყდა და იჯდა ასე, ენაჩავარდნილი, ნაწამები კაცის იერით კარს მიჩერებული. უფრო თავშესაქცევი კი ეს იყო: ათი წუთიც არ გასულიყო, რომ გოგო მშვიდად გამოვიდა თავისი ოთახიდან. ავდექი და წამოვედი. უფრო სწორად, ბებერ ნელსონს (თუ ნილსენს) უკანა ვერანდაზე დავუწყე ძებნა – ეს მისი კუთხე იყო, რომელიც სახლის გაყოფისას წილად რგებოდა. კეთილშობილური მიზანი მქონდა: მინდოდა, მოხუცისთვის საუბარი გამება, რათა აქეთ-იქით არ ებორიალა და შემთხვევით იქ არ შეეყო ცხვირი, სადაც იმ წუთას მისი დანახვა არავის სურდა.

ბერიკაცს ბრიგის მოსვლის ამბავი გაეგო, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ჯესპერი უკვე მის ქალიშვილთან იყო. მგონი, ფიქრობდა, ასეთ მცირე დროში ბუნგალომდე მოსვლა შეუძლებელიაო. რა თქმა უნდა, ყველა მამა ასე იფიქრებდა. ეჭვი ჰქონდა, რომ ალენს მისი ქალიშვილი გულში ჩავარდნოდა, რაც ჰაერში მონარნარე ფრინველებმა და წყალში მოლივლივე თევზებმა, არქიპელაგის ვაჭრების უმრავლესობამ და სინგაპურის ჭრელმა მოსახლეობამ,

ერთი სიტყვით, ყველამ კარგად იცოდა. თუმცა მამა ვერ ხვდებოდა, როგორ ძალიან მოეხიბლა გოგო ამ ყმაწვილკაცს. ეგონა, ფრეია ზედმეტად გონიერია იმისათვის, რომ ვიღაცამ ასე მოხიბლოსო – იმ ზომამდე მოხიბლვას ვგულისხმობ, ადამიანს რომ თავს აკარგვინებს. არა, ამის გამო არ იჯდა ხოლმე უკანა ვერანდაზე ჩაფიქრებული და, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულიც, როცა ჯესპერი სტუმრობდათ. ბერიკაცი ჰოლანდიელ „ხელისუფლებზე“ დარდობდა. ჰოლანდიელებს თვალში არ მოსდიოდათ ბრიგ „ბონიტოს“ მფლობელი და კაპიტანი ჯესპერ ალენი. მიაჩნდათ, რომ მეტისმეტად ყოჩაღი იყო სავაჭრო საქმეში. არ ვიცი, ოდესმე რამე უკანონო თუ ჩაედინა, თუმცა მეჩვენება, რომ მისი სიფიცხე და ენერგიულობა ნერვებს უშლიდა სიზანტეს ნაჩვევ, უხალისო ხალხს. ასეა თუ ისე, ბებერი ნელსონის აზრით, „ბონიტოს“ კაპიტანი გონიერი მეზღვაური და შესანიშნავი ყმაწვილკაცი იყო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მასთან ნაცნობობის გაბმა სასურველი მაინც არ უნდა ყოფილიყო. შეიძლებოდა რეპუტაცია შელახვოდა, ხვდებით, არა? მეორე მხრივ, არც ის უნდოდა, რომ ჯესპერისთვის პირდაპირ მიეხალა, აქედან დაიკარგეო. საბრალო ბებერი ნელსონიც კარგი ვინმე გახლდათ. მჯერა, რომ ვიღაც ფაფარაშლილი კანიბალის გრძნობების შეურაცხყოფასაც კი მოერიდებოდა, თუ მეტისმეტად არ გააღიზიანებდნენ. აქ მხოლოდ გრძნობებს ვგულისხმობ, სხეულებს – არა. როცა შუბებს, დანებს, ცულებს, კეტებს და ისრებს ხედავდა, თავის დაცვა შეეძლო. სხვა მხრივ, მეტად მოკრძალებული ადამიანი, სათუთი სულის პატრონი იყო. ჰოდა, იჯდა ასე, დადარდიანებული, უკანა ვერანდაზე და ყოველ ჯერზე, როცა კი ქალიშვილისა და ჯესპერ ალენის ხმები მის ყურამდე მიაღწევდა, ლოყებს გაბერავდა, მერე კი ცუდ დღეში ჩავარდნილი კაცივით მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე.

რა თქმა უნდა, დავცინოდი იმ შიშებს, რომლებსაც მეტ-ნაკლებად მიმხელდა. ჩემს მოსაზრებებს ანგარიშს უწევდა და პატივს სცემდა – ჩემი მაღალზნეობრიობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ, მისი წარმოდგენით, ჰოლანდიელ „ხელისუფლებთან“ კარგი ურთიერთობა უნდა მქონოდა. კარგად ვიცი, რომ ბანკას გუბერ-

ნატორი – ბუა, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდა – შესანიშნავი ადამიანი, გულფიცხი და ამავე დროს გულკეთილი გადამდგარი კონტრადმირალი მის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი. ეს საიმედო გარანტია, რომელიც მუდამ სააშკარაოზე გამომქონდა, ბებერ ნელსონს (თუ ნილსენს) წამით სახეს უნათებდა, მერე კი დაეჭვებული მაინც თავის ქნევას მოჰყვებოდა ხოლმე, თითქოს ამბობდა: ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ თავად ჰოლანდიელი „ხელისუფლების“ ბუნებაში ისეთი სიღრმეებია, რომლებსაც ჩემ გარდა ვერავინ ჩასწვდებაო. რა სისულელეა!

იმ დღეს, რომელზეც ახლა ვსაუბრობ, ბებერი ნელსონი მეტად გაღიზიანებული იყო. ვცდილობდი, ძალიან სასაცილო და, ცოტა არ იყოს, სკანდალური ისტორიით გამერთო, რომელიც ჩვენს ერთ საერთო ნაცნობს საიგონში თავს გადახდენოდა. ამ დროს მოულოდნელად წამოიძახა:

– რა ჯანდაბა უნდა? აქ რატომ დადის?

ცხადია, მოყოლილი ამბიდან ერთი სიტყვაც არ გაეგონა. გული მომივიდა, იმიტომ რომ მართლაც კარგ თავშესაქცევ ისტორიას ვუყვებოდი. სახეში მივაშტერდი.

– კარგი ერთი! – წამოვიძახე. – ნუთუ არ იცით, რატომ დადის აქ ჯესპერ ალენი?

ეს ჩემი პირველი ნათელი მინიშნება იყო იმაზე, რაც მის ქალიშვილსა და ჯესპერს შორის ხდებოდა. ბერიკაცმა ის ძალიან მშვიდად მიიღო.

– ფრეია გონიერი გოგოა, – დაბნეულად ჩაიბუტბუტა, გონების თვალით აშკარად ისევ „ხელისუფლებს“ უტრიალებდა. არა, ფრეია სულელი არ იყო. ამაზე არ დარდობდა. საწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდა – გოგო უბრალოდ ერთობოდა ამ ყმაწვილკაცთან, მეტი არაფერი.

როცა შორსმჭვრეტელმა მოხუცმა ბუტბუტი შეწყვიტა, სახლში სიჩუმემ დაისადგურა. ის ორნი ძალიან წყნარად და უდავოდ მთელი გულით ერთობოდნენ. რა უნდა მოეფიქრებინათ ისეთი, რითაც იმაზე მეტი თავდავიწყებითა და ნაკლები ხმაურით გაერთო-

ბოდნენ, ვიდრე სამომავლო გეგმების დასახვაა? ვერანდაზე ალბათ გვერდიგვერდ ისხდნენ და ბრიგს უყურებდნენ – მათი წარმტაცი თამაშის მესამე მონაწილეს. მის გარეშე მომავალი ვერ ექნებოდათ. ის იყო მათი სიმდიდრე, სახლი და დიდი, თავისუფალი სამყარო. ნეტავ ვინ შეადარა გემი ციხეს? ანძის წვერზე გამკიდონ, თუ ეს მართალი იყოს. ამ გემის თეთრი აფრები თეთრი ფრთები იყო – ასე მგონია, რომ „ფრთები“ უფრო პოეტურად ჟღერს – მათი მაღ-ლა-მაღლა მოფარფატე სიყვარულის თეთრი ფრთები. მოფარფატე ჯესპერზე ითქმოდა, ფრეია კი ქალი იყო და მიწაზე უფრო მყარად იდგა, სასიყვარულო ურთიერთობაშიც უფრო მიწიერი რჩებოდა.

ჯესპერი იმ დღიდან აიჭრა ღრუბლებში, როცა ბრიგს ერთად ათვალიერებდნენ და მათ შორის ყოვლისმთქმელი დუმილი ჩამოწვა – მეტყველების უნარით დაჯილდოებული არსებებისთვის დამახა-სიათებელი ისეთი დუმილი, რომლითაც სრულყოფილი ურთიერ-თობა მყარდება. სწორედ ამ დროს შესთავაზა ქალიშვილს, ამ გან-ძის მფლობელი ისიც ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ბრიგი მთელი თავისი მშვენებით წარმოუდგინა. მისი გული ხომ გემს იმ დღიდან ეკუთვნოდა, როცა მანილაში ხანში შესული პერუელისგან – შავი ტილოს უბრალო კოსტუმში გამოწყობილი, იდუმალებით მოცული, მაღალფარდოვნად მოსაუბრე კაცისგან იყიდა. იმან შეიძლება ეს გემი სულაც სამხრეთ ამერიკის სანაპიროსთან მოიპარა, სადაც, მისივე თქმით, ფილიპინებიდან „ოჯახური საქმეების გამო“ ჩავიდა. ეს „ოჯახური საქმეების გამო“ უდავოდ კარგად ჟღერდა. არც ერ-თი ნამდვილი კაბალიერო ასეთი განცხადების შემდეგ გამოკითხვას აღარ გააგრძელებდა.

რასაკვირველია, ჯესპერი ნამდვილი კაბალიერო იყო, თავად ბრიგი კი ერთიანად გაშავებული, იდუმალი და ძალიან ჭუჭყიანი გახლდათ: ზღვის დაბინდული მარგალიტი ან სულაც ხელოვნების მიგდებული ნიმუში. დიახ, უდავოდ ხელოვანი უნდა ყოფილიყო ის უცნობი მშენებელი, რომელმაც ასეთი ლამაზი გემი ააგო ყველაზე გამძლე ტროპიკული ხისგან და მისი კორპუსი სუფთა სპილენძით გაამაგრა. მხოლოდ უფალმა უწყის, მსოფლიოს რომელ ნაწილში

აეგოთ იგი. თავად ალენმა ბევრი ვერაფერი შეიტყო მისი ისტორიის შესახებ იმ თავისი მაღალფარდოვნად მოსაუბრე, პირქუში პერუელისგან – თუ საერთოდ პერუელი იყო ის ტიპი და არა – გადაცმული ეშმაკი, რისიც ხუმარა ჯესპერს ვითომ სჯეროდა. ჩემი აზრით კი, ბრიგი იმდენად ძველი იყო, რომ შეიძლებოდა ბოლო მეკობრეების ან მონათვაჭრების საკუთრება ყოფილიყო, ან სულაც ნარკოტიკებით მოვაჭრეებისა თუ კონტრაბანდისტების გემი გამომდგარიყო.

ასეა თუ ისე, ბრიგი ისეთივე საღი გახლდათ, როგორიც – წყალში პირველად ჩაშვების დღეს: აფრებაშვებული ისე დაფრინავდა, კუდიანი გეგონებოდათ და თან პატარა ნავივით იოლად სამართავი იყო; იმ ლამაზმანების მსგავსად, რომლებმაც სახელი თავგადასავლების ძიებითა და ბობოქარი ცხოვრებით გაითქვეს, მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლო უნდა სცოდნოდა. სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ჯესპერ ალენი მას ისე ეპყრობოდა, როგორც გულისსწორს, ასეთმა მოპყრობამ კი ბრიგი კიდევ უფრო დაამშვენა და ძველი ბრწყინვალებით აავსო. ახალმა მფლობელმა საუკეთესო თეთრი საღებავი რამდენიმე ფენად გადაუსვა – მეტად ფრთხილად, მოხერხებულად და ოსტატურად. რჩეული მალაიელებისგან შედგენილი ეკიპაჟი გემს განცგაწყვეტამდე წმენდდა და აპრიალებდა – ვერანაირი ძვირფასი მინანქარი, რომელსაც იუველირები სამკაულების დამზადებისას იყენებენ, მის ზედაპირს ვერ შეედრებოდა და ვერც მასზე გლუვი იქნებოდა ხელით შეხებისას. როცა წყალში მიცურავდა, მოოქროვილი ვიწრო სალტე მის ელეგანტურობას კიდევ უფრო გამოკვეთდა და ეს სილამაზე იოლად ჩრდილავდა ნებისმიერი იახტის მშვენებას, რომელსაც კი იმ წლებში აღმოსავლეთამდე მოეღწია. ჩემი მხრივ, უნდა დავძინო: თეთრ კორპუსზე მუქი წითელი სალტე მირჩევნია – კონტრასტს უკეთესად გამოკვეთს და თან უფრო იაფიცაა. ჯესპერს ასეც ვუთხარი, მაგრამ ყური არ მათხოვა: მხოლოდ საუკეთესო ოქროს ფურცლები უნდოდა, რადგან ვერანაირი სხვა მორთულობა საკმარისად დიდებული ვერ იქნებოდა ფრეიას მომავალი საცხოვრისისთვის.

მის გულში ბრიგისა და გოგოს მიმართ გაჩენილი გრძნობები ერთმანეთს ისე შერწყმოდა, როგორც ორი ძვირფასი ლითონი შეედნობა ხოლმე ერთმანეთს გახურებულ ჭურჭელში. ალი კი, გარწმუნებთ, მართლაც მწველი იყო. ამიტომაც დასჩემდა ყმაწვილკაცს მოუთოკავი მღელვარება და მოუსვენრობა, რაც მის საქციელშიც ვლინდებოდა და სურვილებშიც. თხელსახიანი, თმადატალღული, გამხდარი, გრძელკიდურებიანი, ფოლადის თვალებში გამკრთალი ელვითა და სწრაფი, მკვეთრი მოძრაობებით ხანდახან პირბასრ, მოციმციმე ხმალს მაგონებდა, რომელსაც ქარქაშიდან წამდაუწუმ იღებენ. მხოლოდ მაშინ, როცა გოგოს გვერდით იყო და მისი ყურება შეეძლო, ეს უცნაური დაძაბულობა დიდი ყურადღებით ეცვლებოდა – ჩვეული ერთგულებითა და გულმოდგინებით მის უმცირეს მოძრაობებს, უბრალო სიტყვებს აკვირდებოდა. როგორც ჩანს, ფრეიას სიმშვიდე და მტკიცე, გონივრული, კეთილგანწყობით სავსე თავშეკავება გულს უმაგრებდა. იქნებ სულაც მისი სახის, ხმის, მზერის გრძნეულება ამშვიდებდა ასე? ალბათ მაინც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ყველაფრის გამო ედებოდა მწველი ცეცხლი მის წარმოსახვას – თუ საერთოდ წარმოსახვაა სიყვარულის დასაბამი. თუმცა მე ის კაცი არა ვარ, რომელმაც ასეთი იდუმალი რამეები უნდა განჩხრიკოს და თან მეჩვენება, რომ სულ დაგვავიწყდა საბრალო ბებერი ნელსონი, რომელიც ლოყებს შეშფოთებით ბერავდა უკანა ვერანდაზე.

ბერიკაცს ყურადღება გავამახვილებინე იმაზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჯესპერი სულაც არ იყო აქაურობის ძალიან ხშირი სტუმარი – თავისი ბრიგით მთელ არქიპელაგს გარს უვლიდა. შეშფოთებულმა ბებერმა ნელსონმა პასუხად მხოლოდ ეს მითხრა:

– იმედი მაქვს, სანამ ბრიგი აქ დგას, ჰეემსკირკი არ შემოგვივლის.

ახლა ჰეემსკირკში ხედავდა საფრთხობელას! ჰეემსკირკში!.. თუმცა იმის ასატანად მოთმინება ნამდვილად იყო საჭირო...